


# განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების მიხედვით ჩატარებული საპილოტე ინსტიტუციური შეფასებების შედეგები

ქეთი ცოტნიაშვილი



კონფერენცია „უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმა:  
შედეგები და შემდეგი ნაბიჯები“  
14/12/17

# პილოტირების პროცესი



პილოტირების შეზღუდვები: ვადები, არასრული დოკუმენტაცია, არასრული ინფორმაცია, ვიზიტების ხანგრძლივობა, ინტერვიუში მონაწილე პირების უსდ-ს მიერ შერჩევა



# თვითშეფასება და თვითშეფასების ანგარიში

- ფაქტობრივი ინფორმაცია **VS** საქმიანობის და შედეგების ანალიზი
- მთლიანი საუნივერსიტეტო საზოგადოების შეხედულებების ასახვა
- სტუდენტების ჩართულობა თვითშეფასების პროცესში და მათი შეხედულებების ასახვა დოკუმენტში
- ყველა სტრუქტურული ერთეულის და შესაბამისი გარე მხარეების მონაწილეობა

\*თვითშეფასების შედეგად გაცნობიერებულია ინსტიტუციაში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის შესაძლებლობები



# ვიზიტის მიმდინარეობა

- თანამშრომლობა
- შესაბამის პირებთან შეხვედრის შესაძლებლობა
- დოკუმენტების და ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდება
- ძირითადი მიგნებების პრეზენტაცია უსდ-ს ფართო აუდიტორიასთან

## როგორ აფასებენ ექსპერტები?

- რა შედეგები აქვს მიღწეული უსდ-ს?
- რამდენად გამართულია პროცესები და მექანიზმები?
- რამდენად თანამონაწილეობითია გადაწყვეტილებების მიღების პროცესი (სტუდენტის როლი)?
- როგორ მუშაობს შიდა ხარისხის სისტემა და როგორ გამოიყენება მისი მუშაობის შედეგები?
- რა არის უსდ არსებული რესურსები (ადამიანური, ფინანსური)?
- რამდენად რეალურია განვითარებისთვის დასახული გეგმა?

შეფასების გაკეთებისას ამოსავალი წერილი არის სტუდენტების ინტერესების დაცვა



# ძირითადი რეკომენდაციები



# მისია და სტრატეგიული განვითარება

- მისიის დაკონკრეტება და მისი კავშირი სტრატეგიასთან
- სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი
- სტრატეგიული გეგმის განხორციელების მუდმივი შეფასება
- გაზომვადი ინდიკატორების გამოყენება
- სტრატეგიული გეგმისა და ბიუჯეტის შესაბამისობა





# ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ოპტიმალური გადანაწილება (ადმინისტრაციული, დამხმარე ერთეულები, ფაკულტეტები) მისიისა და სტრატეგიის გათვალისწინებით
- სტრუქტურული ერთეულების მიერ შესაბამისი ფუნქციების შესრულება
- ინტერნაციონალიზაციის გააზრება და თანმიმდევრული მიდგომების დანერგვა
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების შესაძლებლობების გაძლიერება
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ შესაბამისი ფუნქციების შესრულება
- ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გადანაწილება ინსტიტუციის საქმიანობის სრულფასოვნად შეფასებისთვის
- ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენება და მათზე რეაგირება
- სტუდენტების კონტინგენტის დაგეგმვა
- აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა - რეალური მექანიზმების ამოქმედება



# პროგრამები

- პროგრამების შემუშავებასა და განვითარებაში შესაბამისი მხარეების ჩართულობა
  - (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები)
- სათანადო სწავლის შედეგების განსაზღვრის პროცესის წარმართვა, მისი მნიშვნელობის გაგება და მათი მიღწევის შესაძლებლობების უზრუნველყოფა
- სწავლებისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა მისაღწევ სწავლის შედეგებთან
- სწავლის შედეგების მიღწევითვის შესაბამისი რესურსების არსებობა
- სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვა
- პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება - რეალური პრაქტიკის მიღების შესაძლებლობების შექმნა





# ადამიანური რესურსი

- უსდ-ში დასაქმებული პერსონალის ფუნქციებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისობა
- პერსონალის პროფესიული განვითარების თანმიმდევრული სტრატეგიის დასახვა და განხორციელება
- პერსონალის საქმიანობის შეფასება და შეფასების შედეგებზე რეაგირება
- აკადემიური პერსონალის აფილირების მექანიზმის გამართვა და ამოქმედება
- აკადემიური პერსონალისთვის შესაბამისი ფუნქციებისა და დატვირთვის განსაზღვრა
- პერსონალის რაოდენობის და პროფილის საგანმანათლებლო პროგრამებთან და სტუდენტების რაოდენობასთან შესაბამისობა



# სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები

- სტუდენტების როლისა და ფუნქციის გაძლიერება უსდ-ს მართვაში
  - (წარმომადგენლობითი ორგანოები, ხარისხის შეფასება)
- საერთაშორისო და ქართველი სტუდენტებისთვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა
- კარიერის დაგეგმვისა და განვითარების სერვისის ამოქმედება და გაძლიერება
- სტუდენტებისთვის აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან კონსულტაციების მიღების კულტურის წახალისება
- სტუდენტური თვითმმართველობის როლის გადახედვა
- სტუდენტთა კანონიერი უფლებების დაცვა



# კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

- კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრა რესურსების გათვალისწინებით და კვლევის სტრატეგიის ჩამოყალიბება
- სადოქტორო სტუდენტების მიღების კრიტერიუმების და პროცესის გამჭვირვალობა
- სადოქტორო ხელმძღვანელების კვლევითი პროფილის ადეკვატურობა და შესაბამისობა კვლევის მიმართულებებთან
- აკადემიური პერსონალის, სტუდენტების და ახალგაზრდა მკვლევარების კვლევაში ჩართვა და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა
- საუნივერსიტეტო კვლევასა და ბიზნესს შორის კავშირის დამყარება და თანამშრომლობა
- სადოქტორო დისერტაციების და სხვა კვლევების ხარისხის შეფასება და კონტროლი



# მატერიალური, ბიბლიოთეკის, საინფორმაციო რესურსი და ფინანსური რესურსი

## ბიბლიოთეკის რესურსების განვითარება

- ბიუჯეტის გაზრდა
  - პერსონალის მომზადება
  - სტუდენტებისა და პერსონალისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება
  - საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართვა
- 
- საინფორმაციო რესურსების განვითარება
    - სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გამართვა
    - საინფორმაციო რესურსების მართვის პოლიტიკა და რისკების მართვა
- 
- ფინანსური რესურსი
    - ეფექტიანი გადანაწილება
    - კავშირი უსდ-ს პრიორიტეტებთან და სტრატეგიასთან
    - ფინანსური ანგარიშების საჯაროობა



# შედეგები ცენტრისთვის

- პროცედურების დახვეწა
- ვადების გადანაწილება
- თვითშეფასების და დასკვნის ფორმების მოდიფიცირება
- ინდიკატორების და მტკიცებულებების დაზუსტება
- შეფასების სისტემის ცვლილება

